საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000074262467020

№ 02-144-R

01 / სექტემბერი / 2020 წ.

ბრძანება

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2020-2021 სასწავლო წლისთვის „სტუდენტთა სწავლის საფასურის“ სტიპენდიისათვის კანდიდატთა შესარჩევი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს კანონის ”უმაღლესი განათლების შესახებ” 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2020-2021 სასწავლო წლისთვის „სტუდენტთა სწავლის საფასურის“ სტიპენდიისათვის კანდიდატთა შესარჩევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   ა) მაკა ვირსალაძე - კომპოზიციისა და მუსიკის თეორიის ფაკულტეტის დეკანი, ასოც. პროფ.;
   ბ) თეონა ბუაძე - საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანი, ასოც. პროფ;
   გ) თამარ ბულია - ასოც. პროფ; აკადემიური საბჭოს წევრი, საშემსრულებლო ფაკულტეტი, საორკესტრო სიმებიანი მიმართულება
   დ) მარიკა ნადარეიშვილი - ასოც. პროფ, კომპოზიციისა და მუსიკის თეორიის ფაკულტეტი, მუსიკის თეორიის მიმართულება
   ე) დავით გაჩეჩილაძე - სტიპენდიის ფინანსური უზრუნველყოფის წარმომადგენელი;

2. კომისიის სხდომაში/ებში და განხილვაში/ებში ჩართულ იქნას მეთვალყურედ კომპოზიციის მიმართულების მე-2 კურსის სტუდენტი, სტუდენტური თვითმმართველობის წევრი - ირაკლი არეშიძე ხმის უფლების გარეშე.

3. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეთ კომისიის წევრებს.

4. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6) 1 (ერთი) თვის ვადაში.